ბორჯომის
მუნიციპალიტეტი

საგადახდო მოთხოვნა #02757

(დამტკიცებული ხაზინაში)

სახაზინო კოდი	01 02	დასახელება	ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობა		
ვალდებულების #	0856	მოთხოვნის საფუძველი	განჩინება; 3/116-16; 27/09/2016		0
საბიუჯეტო ეკონომიკური კლასიფიკაციის კოდი	2.8.2.1.1	თანხა ლარებში	243.88	თანხა სიტყვით	ორასორმოცდასამი ლარი და ოთხმოცდარვა თეთრი
განმკარგავი საბიუჯეტო ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი			226161961		
დასახელება	ბორჯომის მუნიციპალიტეტი				
მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი			0		
დასახელება	ერთიანი ანგარიში; სსიპ; სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი				
მიმღების ბანკის კოდი			TRESGE22		
დასახელება	ქ.თბილისი, "სახელმწიფო ხაზინა"				
ანგარიშის #	GE24NB0330100200165022			საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი	707117044
გადახდის დანიშნულება	სხვა - სასამართლო განჩინების საფუძველზე არსებული დავალიანების დაფარვა (მიმდინარე წლის ხარჯი)				

მოთხოვნის დამატება:	ნინო გიუაშვილი	13/10/2016 12:51
მოთხოვნის დამოწმება:	ნინო გიუაშვილი	13/10/2016 12:51
მოთხოვნის გაგზავნა middle-ოფისში:	მაია პაიჭაძე	13/10/2016 13:00
მოთხოვნის გაგზავნა ხაზინაში middle-ოფისიდან:	მაია პაიჭაძე	13/10/2016 13:03
მოთხოვნის მიღება:	ლალი ჩუბინიძე	13/10/2016 16:37
ბანკში გაიგზავნა:		13/10/2016 16:41

13/10/2016

ტრანზაქცია
განხორციელებულია

საქმე №3/116-16წ.

2800405619309

www.info.court.ge

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ

27 სექტემბერი, 2016 წელი ქ. ახალციხე

ახალციხის რაიონული სასამართლო
მოსამართლე - მარიკა ჩიტაშვილი
სხდომის მდივანი - ირმა იაკობაძე

მოსარჩელე - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი;
წარმომადგენელი - მამუკა ბერიძე;
მოპასუხე - ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობა;
წარმომადგენელი - თამარ ძავაშვილი, ნატალია უგულავა;

დავის საგანი - ფულადი ვალდებულების შესრულება;

ღია სასამართლო სხდომაზე განიხილა ადმინისტრაციული საქმე შსს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სარჩელისა გამო მოპასუხე ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ, ფულადი ვალდებულების შესრულების თაობაზე.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

2016 წლის 01 სექტემბერს ახალციხის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მომართა შსს დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა (წარმომადგენელი მამუკა ბერიძე) მოპასუხე ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ, ფულადი ვალდებულების შესრულების თაობაზე.

სასამართლო გაეცნო სარჩელს, წარმოდგენილ წერილობით მასალებს, მოისმინა მხარეთა განმარტება და მიაჩნია, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ვინაიდან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის ,,დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი.

მხარეები სასამართლო სხდომაზე მორიგდნენ შემდეგზე:

ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობა იღებს ვალდებულებას შსს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხოს დავალიანება 243,88 ლარის

ოდენობით მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან 20 დღის ვადაში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის თანახმად: სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მხარეები მორიგდნენ.

ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი: საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მხარეები მორიგდნენ, რის გამოც საქმის წარმოება უნდა შეწყდეს. ამასთან, უნდა განემარტოს მხარეებს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად: თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

მოსარჩელეს სარჩელის აღძვრისას გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი 100 ლარის ოდენობით. სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მხარეები მორიგდნენ, რის გამოც სახელმწიფო ბაჟის უნდა დაუბრუნდეს მოსარჩელე მხარეს.

გამომდინარე აღნიშნულიდან, სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე, 272-ე, 273-ე, 274-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მხარეთა ერთობლივი შუამდგომლობა მორიგების დამტკიცების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. დამტკიცდეს მოსარჩელე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტსა (ს/ნ 211350928, წარმომადგენელი მამუკა ბერიძე) და მოპასუხე ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობას (ს/კ 226161961, წარმომადგენლები ნატალია უგულავა, თამარ ძავაშვილი) შორის 2016 წლის 27 სექტემბერს მიღწეული მორიგება შემდეგი პირობით: ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობა იღებს ვალდებულებას შსს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხოს დავალიანება 243,88 (ორასორმოცდასამი ლარი და ოთხმოცდარვა თეთრი) ლარის ოდენობით მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან 20 დღის ვადაში.

3. შეწყდეს საქმის წარმოება ადმინისტრაციულ საქმეზე №3/116-16წ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის (ს/ნ 211350928, წარმომადგენელი მამუკა ბერიძე) სარჩელისა გამო მოპასუხე ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობის (ს/კ 226161961, წარმომადგენლები ნატალია უგულავა, თამარ ძავაშვილი) მიმართ, ფულადი ვალდებულების შესრულების თაობაზე.

4. მოსარჩელე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს (ს/ნ 211350928) დაუბრუნდეს მის მიერ სახელმწიფო ბაჟის

სახით გადახდილი თანხა 100 (ასი) ლარის ოდენობით სახელმწიფო ხაზინიდან.

5. განემარტოთ მხარეებს, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ დაიშვება;

6. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში მხარეთათვის დასაბუთებული განჩინების ჩაბარებიდან 12 (თორმეტი) დღის ვადაში კერძო საჩივრის შეტანის გზით, ახალციხის რაიონული სასამართლოს (ქ.ახალციხე, მებაღიშვილის ქ. №62) მეშვეობით.

მოსამართლე მარიკა ჩიტაშვილი